№ 813 შაბათი, 8 მაისი. 1896—1899 შაბათი, 8 მაისი. № 813

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 9-3 საათამდე და საღამოს 6—7 „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
უად-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ იღებს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე. ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 4 მან.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" გამგეობა აცხადებს, რომ კვირას, 9 მაისს, გარდახდილ იქმნება დიდუბის ეკლესიაში წლის წირვა განსვენებულის
ალექსანდრე როინაშვილისა
სულის მოსახსენებლად. (3—2)

სახალხო სეირნობა
საქველ-მოქმედო გაზრითურთ
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების" სასარგებლოდ
დანიშნულია 16-ს და 17-ს მაისს, კვირას და ორშაბათს, მუშტაიდში. (10—6)

ორთქლით მომუშავე სტამბა
ექვთიმე ი. ხელაძისა
ტელეფონი 648.
დიდი-მადლიკ. ქუჩა № 64, ქაშვეთის ეკლესიასთან ახლო შენობაში.
(არსებობს 1873 წლიდამ).

სტამბამ ახლად მიიღო: ახალი სისტემის ორთქლით მომუშავე მჭედავი მანქანა დიდი ზომისა, მოწყობილი სათვლელი და საჭრელი ავტომატიური აპპარატებით.
მიღებულია ახალი შრიფტები ჰ. ბერტჰოლდის ასოთ-საჭრელი-ში (ბერლინში) ყოველნაირი ზომისა და სახისა.
მომუშავეთა რიცხვი შევსებულია დახელოვნებული ოსტატებით.
ასრულებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. ბეჭდავს ყველა ადგილობრივი, რუსული და უცხოეთის ენებზე წიგნებს, ბროშურებს, ბლანკებს, იარლიკებს, პლაკატებს, განცხადებებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. და სხვ.
საქმის ასრულება დროზედ, სუფთად და ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასად. ტფილისის გარეშე შეუძლიათ მოგვმართონ ამ ადრესით: Въ Тифлисъ, Типографію Е. Хеладзе. (50—28)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
ღამეულ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ა. ზერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ა. მარშანსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია
Лѣчебница В. С. Топурія въ Кутаисѣ

## ახალი ამბავი

—

*** ფიცის მიღება სომხებისაგან რუსულ ენაზე. მკითხველებს უეჭველია ახსოვთ, რომ ამ სამიოდე წლის წინად კითხვა აღძრეს იმაზე, თუ რომელ ენაზე უნდა მიიღონ სომხებმა ფიცი სასამართლოებში და სხვა დაწესებულებაებში. ეხლა ეს კითხვა სახელმწიფო სენატს ასე გადაუწყვეტია: მართალია ყოველმა რჯულმა თავის ენაზე უნდა მიიღოს ფიცი, მაგრამ რადგან სახელმწიფო ენა რუსეთში რუსული არის, ამიტომ სასამართლოებსა და სხვა დაწესებულებებში ფიცი რუსულ ენაზე უნდა მიიღონ და ამიტომ სომეხთა კათალიკოსის მაკარის ბრძანება, რომ ყველა სომეხმა უთუოდ სომხურად მიიღოს ფიცი, გაუქმებულ იქმნეს ვითარცა უკანონო განკარგულებაო. („კავკაზი")

*** ექსარხოსის გამგზავრება ბოდბის მონასტერში. გუშინ ყოვლად სამღვდელო მთავარ-ეპისკოპოსი ფლაბიანე, საქართველოს ექსარხოსი გაემგზავრა სიღნაღისაკენ, საიდანაც წაბრძანდება ბოდბეს მონასტერში, რათა საძირკველი ჩაყაროს იქ ახალი ეკკლესიისა.

*** სათავად-აზნაურო თეატრის გადაკეთება. თავად-აზნაურთა მამულის გამგე კომისიას მიუწვევია ცნობილი არხიტექტორი ბ-ნი სიმონსონი, რომელმაც უნდა შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა თეატრის გადაკეთებაზე. როგორც ისმის თეატრს წელსვე ზაფხულში შეაკეთებენ და ამ რიგად ქართული წარმოდგენები ღვთით არ შეწყდება დამდეგ სეზონში.

*** ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ მმართველი დენერალ-ლეიტენანტი პეტროვი, როგორც გაზეთები იუწყებიან მალე უნდა ჩამოვიდეს კავკასიაში.

*** ქალაქის ქუჩების გაუმჯობესება. როგორც მკითხველებს მოეხსენება ქალაქის ქუჩები მეტის-მეტად ურიგოდ არიან მოკირწყლული, რაც უმაღლესმა მთავრობამ შეატყო და სასტიკი ბრძანება გასცა, რომ ქუჩები დროისით გადაკეთებულიყო. ხოლო ქალაქის გამგეობა იმით იმართლებდა თავს, რომ, რადგან ცხენის რკინის გზის გამგეობასთან შეკრული პირობა უმაღლეს მთავრობამ არ დაამტკიცა და რადგან ხსენებული გზის გამგეობა წინდაწინ გვპირდებოდა ფულს, თუ პირობით შევეკვრებოდით, ნახევარ მილიონ მანათსა ქუჩების გასაუმჯობესებლად, ამიტომ ჯერ ხანად ქუჩებს ვერ გადავაკეთებთო; ამაზე ახლად დანიშნულ გუბერნატორს ბ-ნ სვეჩინს შემდეგი წინადადება მიუცია მოსძებნეთ ვინმე მოიჯარადრე, რომელიც იკისრებს ჯერ-ჯერობით მთავარ ქუჩების გადაკეთებას და მერე სხვა ქუჩებსაც შეუდგებაო. ამ რიგად ტფილისს მალე ეღირსება ცოტათი მაინც სწორე ქუჩები.

*** ქალაქის აფთიაქის იჯარით გაცემა. ქალაქის აფთიაქი, რომელიც იჯარით ჰქონდა გაცემული კამოცკის, ეხლა გადაუციათ იჯარითვე ბ-ნი ენიკოლოფოვისათვის.

*** ნავთის ქურდობა. კარგა ხანია ხმა დადიოდა, რომ ბაქოში ერთი მექარხნე მეორე მექარხნეს ნავთს ჰპარავდაო. ეხლა, როგორც „ნოვ. ობ." იუწყებენ, ამ საქმეზე გამოძიება სწარმოებს და ბ-ნი ჩილსკი სამართალში მიუციათ და საწინდრად მოუთხოვნიათ მისგან 35,000 მან. და დანარჩენებისაგან ხუთას-ხუთასი მან. ნავთს თურმე ჰპარავდნენ ბ ნ ფითოევის ქარხანას.

*** ორბელიანთა ნავთი ბაქოში. ამავე გაზეთის სიტყვით ორბელიანის მემკვიდრეთა გადაუციათ ნავთის ქარხანა ეგრედ წოდებული „კავკაზის" ამხანაგობისათვის. ეს ნავთის ქარხანა ჰქონდა წინად იჯა-

რით ბ-ნ ერვიეს 450,000 მანათი ვალში. ეს ფული ერვიესათვის შეუტანიათ და ამ ჟამად ორბელიანის ნავთის ქარხანა მარტო მოვალეებისათვის კი არა მემკვიდრეებისათვისაც მუშაობს.

*** მატარებლის შეჩერება. რკინის გზის სადგურ ძეგამსა და დაგლიარის შუა მე-425 „ვერსზე" სახალხო მატარებლის პირველი ნომრის ორთქლით მავალი ექვსს ამ მაისს დილით მეთხე საათზე დაეტაკა გამბეჩს, შეიგდო ქვეშ და ათიათხუთმეტი საჟენ; ორთქლით მავალს შემანქანემ გამოცდილობით და მეცადინობით მატარებელი ისე მალე და უვნებლად გააჩერა, რომ არც მატარებელს და არც შიგ მსხდომთ არავითარი ვნება არ მოსვლიათ.

ესრეთი შემთხვევები ერთობ ხშირად ხდება ამიერ კავკასიის რკინის გზებზე, რასაც არა მცირე ზარალი ეძლევა როგორც საწყალ სოფლებს, ისე რკინის გზასაც, მრავალ გზის მომხდარა ის შემთხვევა, რომ მატარებელი გაფუჭებულა და ზოგჯერ ხალხიც უმსხვერპლია. ამისთვის არა ურიგო იქნება, რომ კეთილს ინებებდეს რკინის გზის სამმართველო და ისე შეაგვებდეს მათ საკუთრება მამულს, რომ „ბუტკებთან" გადასავლელ გზების გარდა არ შეეძლოს ლიანდაგთან მისვლა პირუტყვებს.

ლ თათეიშვილი

*** ახალი წიგნები. ჩვენ მივიღეთ ექიმის ი. ი. პანტიუხვის მიერ გამოცემული და შედგენილი შემდეგი წიგნები: 1) Вліяніе маляріи на Коланизацію Кавказа ფასი 30 კ. 2) О народномъ врачеваніи въ закавказскомъ краѣ, ფასი 30 კაპ. ეს უკანასკნელი მეტად საინტერესოა, შიგ მოყვანილია მრავალი ხალხური წამლობა როგორც ქართული, აგრეთვე თათრული და სომხური.

*** **ს მარტვილი**, მაღალ ყ-დ უსამღვდელოესის ექსარხოსის მობრძანება. ძვირფას სტუმრის მობრძანების ხმამ გაახარა მთელი მარტვილის საზოგადოება, დიდი და პატარა. მოუთმენლად მოელოდნენ ამ დღეს, რა დღესაც უნდა მობრძანებულიყო მისი მაღალ ყ-დ უსამღვდელოესობა, და აი ეს სანატრელი დღეც მარტვილელებს ჩქარა დაუდგათ, აუსრულდათ მათი გულის წადილი. შაბათს 1 მაისს ნაშუადღევის 2 საათზე მარტვილის მონასტრიდან და ახლო-მახლო მისდამი ეკკლესიებიდან გაისმა ზარების ხმა. ამ ხმას აჰყვა მთელი საზოგადოება დიდი და პატარა, კაცი და ქალი და ჩქარის ნაბიჯით გაეშურნენ მონასტრისაკენ. ადგილობრივი ბოქაული ბ. დგებუაძე წავიდა დასახვედრად მის მეუფების თანახლებით მრავალ ცხენოსანთა.

არ გასულა ერთი საათი და მონასტრის ეზო ხალხით სავსე იყო, ყველას თვალი იქით ჰქონდა გაშტერებული, საითკენაც უნდა მობრძანებულიყო მისი მეუფება. 4 საათზე კიდევაც გამოჩნდა ეტლი, რომელშიაც ისხდნენ მისი მაღალ ყ-დ უსამღვდელოესობა ექსარხოსი ფლაბიანე და ყ-დ უსამღვდელოესი ალექსანდრე, მათმოჰყვებოდნენ ეპარქიის მეთვალყურე ბ. ღურდანია, მაზრის უფროსი ბ. ქავთარაძე, ექიმი ბ. მიქაბერიძე, მდივანი ეპარქიალურ კანცელარიისა ბ. ჩაჩანიძე და სხვები. დ. ნაოდალევთან დახვდნენ მოვაჭრენი და მრავალი სხვა საზოგადოება, რომელმაც ადგილობრივ მამასახლისის მეთაურობით მიართვა მის მეუფებას პურ-მარილი. სავალდმყოფოსთან დახვდნენ ორ კლასიან სამინისტრო სკოლის მოწაფეები და მათი მასწავლებელნი, მოწაფეებმა მშვენივრათ უგალობეს „ისპოლა". აქედან ეტლით მისი მეუფება ამობრძანდა მონასტერში, სადაც აუარებელი ხალხი მოაწყდა, ეკკლესიის კარებთან დაუხვდნენ „ისპოლას" გალობით ორკლასიან სამაგალითო სამრევლო სკოლის მოსწავლეები. მაღალ ყ-დ უსამღვდელოესი ფლაბიანე პირდაპირ შებრძანდა მონასტერში, სადაც მას შეეგებნენ შემოსილნი არქიმანდრიტები და მრავალი სამღვდელოება. შესვლისთანავე კარებთან ყ-დ სამღვდელო ალექსანდრემ მშვენიერი მოკლე სიტყვით მიმართა მის მეუფებას და აუხსნა თუ ვინ იყო ამშენებელი მარტვილის მონასტრისა და როდის აშენდა იგი, გადაუთარგმა აგრეთვე რას ნიშნენ სიტყვები „ჭყონდიდი" და „მარტვილი". შემდეგ მისი მეუფება შებრძანდა შიგ მონასტერში, სამღვდელოებამ გარდაიხადა პარაკლისი მცირე. თუმცაღა ხორო მომზადებული იყო რუსულად ეგალობნათ. მაგრამ მისმა მეუფებამ ბრძანა, ქართულად იგალობონო. პარაკლისის შემდეგ აკურთხა საზოგადოება მისმა მეუფებამ და თითონ ინება ჯვარზე მოხვევა საზოგადოებისა. ამის შემდეგ მისი მეუფება წაბრძანდა ახალ აშენებულ საარქიელო სახლში. 5 საათზე მიირთვა სადილი, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ მრავალი სამღვდელოება და მთელი აქაური ჩინოვნიკობა. სადილმა გასტანა 7 საათამდის. ნასადილევს მისმა მეუფებამ ინება სამრევლო სამაგალითო სკოლის დათვალიერება და შეგირდების გამოცდა. სკოლის შენობა მშვენივრათ მოეწონა მის მეუფებას და აგრეთვე დიდი ნასიამოვნები დარჩა პატარა მოწაფეების კარგის მოგებით. ის ხიამოვნებით ისმენდა, როგორც 8—9 წლის ბავშვი თამამად და ხხაპა-ხხუპით ზეპირად კითხულობდა დედა-ენიდან ქართულ-რუსულ ლექსებს. შემდეგ მისი მეუფება შებრძანდა ლოცვაზე, სადაც დაჰყო მან გათავებამდის. კვირას, რადგან მის მეუფებას ეჩქარებოდა წაბრძანება, ბრძანა, ქართულად სწიროს მხოლოდ ეკონომოსმა მ. თევდორემო. დილით დაათვალიერა ახალი აშენებული ყველა მონასტრის სახლები. 7 საათზე მისი მეუფება აბრძანდა ნივთების დასათვალიერებლად სალაროში, სადაც ინახულა ყველა ძველი და ძვირფასი ნივთები. ნივთები მის მეუფებას მეტის-მეტად მოეწონენ და ბრძანა ეს პირველი და მდიდარი მონასტერი ყოფილაო, მხოლოდ კი საჭიროა ამ ნივთებს გაუკეთდეს შკაფები, რომ ისინი უდროოდროთ არ გაფუჭდნენ და არ დაკარგოს მონასტერმა ძველი განძი და დიდება მისიო. რვისნახევარ საათზე მისი მეუფება შებრძანდა წირვაზე. წირვა მ თევდორემ შეასრულა ქართულად თუმცა ზოგიერთი ასამაღლებელი კი სთქვა რუსულათ. გალობდა ქართულ-რუსული ხორო. წირვას აუარებელი ხალხი დაესწრო, მოსული იყვნენ ახლო მახლო სოფლებიდგან, ასე რომ მონასტერში და მის ეზოში ტევა არ იყო. წირვის შემდეგ ადგილობრივ ბლაღოჩინმა მ. კ გაწერელიამ მოკლე და მშვენიერის სიტყვით მიმართა მის მეუფებას, მან მშვენივრათ დახატ-სურათა წარსული მნიშვნელობა ამა მონასტრისა, მოკლეთ მოუთხრო ისტორია მისი, გააცნო თუ ძველად რა იყო მარტვილის საბორო მთელ სამეგრელოსათვის, რომ ის იყო დედა ადგილი მთელ სამეგრელოსა, ადგილი, საიდგანაც ვრცელდებოდა ზნეობრივი სწავლა-განათლება და დამნერგველი სარწმუნოებისა, რომ ის იყო ლამპარი, საიდანაც ეფინებოდა სხივი სინათლისა მთელ სამეგრელოს. მასთან დაუსურათა დროთა ვითარებისა გამო ეხლანდელი მდგომარეობა ამა მონასტრისა და საზოგადოდ მარტვილისა. ბოლოს უსურვა მის მეუფებას ხანგრძლივი სიცოცხლე სასარგებლოდ მამულისა და მისდამი რწმუნებულ საექსარხოსო სამღვდელოებათა. ამ სიტყვებიდან, სხვათა შორის, მისი მეუფება ცნობილ იქმნა, თუ რამდენად აქაურ მკვიდრთ ჰქონია სასოება და სიყვარული ამ მონასტრისა, აგრეთვე ნახა თუ რამდენათ—ელტვის და ესასოება მას. ამისთვის დასანუგეშებლად ჩვენდა მისმა მეუფებამ ბრძანა, მიეცეს აქაურ მკვიდრთ ისეთივე უფლე-

ბები ამ მონასტრის სარგებლობ
სა, თუ რანაირიც ჰქონიათ მათ წ
ნეთ, თვინიერ მიცვალებულთ დ
საფლავებისა. ასეთმა განკარგულ
ბამ მაის მეუფებისამ ჩვენი საზ
გადოება უზომოთ გაახარა. 11
ათზე მისმა მეუფებამ ინება სა
ზმის მირთმევა. საუზმეზედ დაეს
რნენ მრავალი საპატიო ერთვნ
ბა და სამღვდელოება. საუზმის შ
მდეგ მისმა მეუფებამ აკურთხა ეკ
ნომოსი მონასტრისა მ. თევდორ
მადლობა გამოუცხადა კარგად
ხვედრისათვის, კარგის პატივ
სათვის და გულ უხვი მასპინძლ
ბისათვის და გაემგზავრა ხარ
ბის მონასტრისკენ, რომელიც ერ
ვერსტზედ არის მარტვილის მონ
სტერთან. წინამძღვარმა არხიმა
დრიტმა ბ. ნიკიფორემ მის მ
მეუფებას მოკლე სიტყვით მიმა
თა და შესაფერათ მოუთხრო
რების მონასტრის ისტორია და
სი თავ-გადასავალი: შემდეგ და
ვალიერა წ-და ნაწილები ამა
ნასტრისა, სახლები, მდებარე
მისი და გაემგზავრა ახალ-სენაკ
კენ. მის მეუფებას ეახლნენ ად
ლობითი ბოქაული და მრავალ
საზოგადოება. ბოქაული თვის
ბოქაულო საზღვარზედ გამოეთხ
ვა მის მეუფებას, რომელმაც მა
ლობა გამოუცხადა რიგიანის
ლებისათვის, კარგის ზნეობისათ
და პატივისცემისათვის და აგრ
ვე აკურთხა მხლებელი ცხენ
ნობა და გაემგზავრა ახალ-სენა
სკენ.

მარტვილი დღეს ხარობს მი
ვის, რომ ამ ძვირფას სტუმართ
მის მეუფებასთან, მან არ დაჰკ
გა ის ღირსება და მნიშვნელ
რომელიც ჰქონდა მას წინეთ,
მისმა მეუფებამ მიუდგრომე
თვალით ინახულა მარტვილის
ნასტერი, მისი ძვირფასი ნივთ
მით და საზოგადოების კარგის
ლებით, კარგისვე შთაბეჭდილ
გაემგზავრა აქედან, ვუსურ
მის მეუფებას მშვიდობით მ
რობას მარტვილის მღვთის
ბელი იყოს მისი მფარველი.

რ. ჯ—

## სახალხო ჰიგიენ

საუბარი ჯანმრთელობის შესახ

(რუსულიდან)

სხეულის სისუფთავეზე

ტანის სისუფთავეზე. თუ
ჯანმრთელობისათვის საჭირო
ყველა რაც მას გარშემო ა
იყოს სუფთა, აგრეთვე მისი
ლი უნდა იყოს სისუფთ
ამისათვის საჭიროა ტანის
ბანვა, ბანაობის შემდეგ ტან
და შეიმშროთ სუფთა პირსახ

*) იხ. «ცნობ. ფურც.» № 801.

თუ სველ ტანზე ჩაიცვით სა-
ლები შეიძლება კა კი ადვილათ
ივდეს. საკმარისია, რომ კაცმა
ში ორჯერ იბანოს ზამთრო-
, და ზაფხულობით კი ყოველ
რაში ერთხელ. პირისა და ყელ-
ის ბანვა ყოველ დღე აუცი-
ელია, ამასთანავე ხელები უნ-
დაიბანოთ დღეში რამდენჯერ-
უფთა წყლით; მეტადრე რო-
ტალახზე მუშაობს კაცი. ხე-
თითის ფრჩხილებში გროვდე-
ევრი ტალახი და ეს ტალახი
დგება თითქმის სულ გადამდე-
ენის ნაწილებიდგან; ტყუი-
კი არ ურჩევენ ექიმები
ხს, ხორველის დროს, იბანეთ
ები ხშირათ, შესაძლებელია
ბუდათ კაცმა ჭამის დროს თი-
ჩაიდოს პირში და საჭმელთან
ად გადააყლაპოს ის ტალახიც,
ძალიანა ვნებს ჯანმრთელო-
ხელები უნდა იბანოთ საპნით,
ხილები დაიჭრათ მაკრატლით.
ხილების დაგლეჯა კბილებით
ვარგა, იმიტომ რომ ფრჩხილე-
ზრდებიან უსწორ-მასწოროთ.
და სამწუხაროდ ჩვენი ხალხი
ებ ყურადღებას აქცევს ხელე-
სისუფთავეს და უფრო ნაკ-
ფეხების, როდესაც ფეხების
ფთავე აგრეთვე საჭიროა,
ორც ხელებისა, მეტად თუ არა
ებათ, იმიტომ რომ ფეხების
ი მეტად საზიზღარი სუნისაა.
ეხაც ფეხშიშველა ვივლით
ნ ბევრი გარეგანი ტალახი გვე-
, ხოლო როცა ფეხთ გვაცვია
ნ ჩვენი საკუთარი ჭუჭყია,
გაბანვა აუცილებელ საჭი-
ბას შეადგენს ყოველ სალა-
ბით. ეს არაფერ სიძნელეს არ
მოადგენს, ხოლო მიჩვევა უნ-
ომა და წვერი უნდა ყოველ
ივარცხნოთ სავარცხლით,
უნდა დაიბანოთ კვირაში
ხელ საპნით და თბილი წყლით.
ის კანზე გროვდება მტვერი,
ელიც წარმოადგენს მშვენიერ
ბაგს ტილების და სხვა მწერე-
სცხოვრებლათ. როცა თავი
ფთაოთ იქნება თმები უდრო-
ცვივნას დაიწყებენ. ყოველ-
რი თავის კანის ტკივილი წარ-
დგება უსუფთაობით. არ უნდა
ფხანოთ თმა და წვერი ფრჩხი-
ით. ამასთანავე თუ გინდათ
ერემდის კბილების სისაღე, გა-
რეცხეთ პირი ყოველ პურის
ს შემდეგ თბილი წყლით.
დგან შეგვიძლიენ გამოვიყვა-
შემდეგი დასკვნანი:
) შეინახეთ სუფთად თქვენი
გომი.
) შეინახეთ სუფთად ტანსაც-
ი და ფეხსაცმელი.
3) შეინახეთ სუფთად თქვენი
ი.

ზ. კ—ძე.

(შემდეგი იქნება)

# თეატრის მატიანე

ქართული სახალხო წარმოდგენა ცირკში. გუშინ წინ, 6 მაისს ცირკში გამართეს მეორეთ ქართული სახალხო წარმოდგენა; ითამაშეს ანტონოვის ტრაგედია, „ქოროღლი“, ეს პიესა ბევრჯელ დადგმული ქართულ სცენაზედ და მართლაც, რომ სახალხოა, მდაბიო ხალხს ძლიერ მოსწონს და სიხარულითაც დაიარება მის წარმოდგენაზე.

გუშინწინდელმა წარმოდგენამ, ცოტა არ იყოს, ნირი შეუშალა მდაბიო ხალხის ხალისს როლების უთავბოლო განაწილებით და გულნარას და დემურჩოღლის წრიპინით. გულნარას როლს ასრულებდა ქ-ნი ხაფთასი და ძლიერ უმათ და ულაზათოდ ჩაატარა, რაც ხელს უშლიდა სხვებსაც და თვით თავის სატრფო ქოროღლისაც, სხვა არა იყოს-რა ქოროღლის (სვიმონიძე) წრე გადასულ მღელვარებას მაინც აჰყოლიყო და ერთ მეათედათ მაინც თანაეგრძნო. დემურჩოღლს (შველიძე) ურჩევთ მაგისთანა როლებს ხელი აღარ მოჰკიდოს, რადგან მაგისათვის არც გარეგნობა და არც ხმა აქვს შესაფერი, იგი უფრო ნოქარს მოგვაგონებდა ჩაქურ ტანისამოსში, ვიდრე თავგანწირულ დემურჩსა, დანარჩენებზე არც კი ღირს ლაპარაკი, რადგან ისეთები თამაშობდნენ, რომ თეატრი მართლა ცირკის მასხარობა ჰგონიათ. მარტო დიდრონ ასოებს კი არა აქვს ძალა, რომ გამოუქიმნია ბ. ადამიძეს: „რეჟისორი ადამიძეო“, საქმე ის არის ყველაფერი მოაწყოს კარგათ, ყველას თავთავის როლები დაურიგოს, და განსაკუთრებით უსიტყვო როლების მოთამაშეთ (სტატისტი) რამდენჯერმე უნდა უჩვენოს თავიანთი ალაგი და სხვა.. ჩვენ ამას იმიტომ არ ვწერთ, რომ გული გაიტეხონ და მასხარად ავიგდოთ, არამედ ვურჩევთ, რომ ყოველივე რიგიანათ მოაწყონ, გაუადვილონ ხალისი მდაბიო ხალხს, და არა მოაშორონ ისინი ქართულ წარმოდგენებს. აგრეთვე უნდა მიაქციონ ყურადღება ლეკურის მოთამაშეთ, იმ ტანისამოსით, რომლითაც ითამაშეს ქალებმა, დამშვენდებიან მხოლოდ სოფლის კალოზედ და არა სცენაზედ. ეგ ვერაფერი გამგებლობაა, ბ ნო რეჟისორო ღ გამგებელნო! ამასთანავე არც ვარგან ორჩი საზოგადოების მოტყუება, აგერ ეს მეორეთ აცხადებენ მჭედლიშვილს და ჩვენ კი თვალითაც ვერ დავინახეთ, ესეც არ ვარგა!

საზოგადოება ბლომად დაესწრო და როგორც შევატყეთ ნასიამოვნებიც დარჩა, მაგრამ მწყობრი წარმოდგენა უფრო ასიამოვნებს და მეორეთ უფრო მეტი მოვა.

მესამე წარმოდგენა იქნება კვირას 9 მაისს, ითამაშებენ, „პეპოს“ იმედი: რომ ამ პიესას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ ბ. გამგებელნი.

დასასრულ არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ დრამატულ კომიტეტს. საქმე ის არის, რომ სახალხო წარმოდგენების გამართვა უნდა შეადგენდეს კომიტეტისათვის უპირველეს მოვალეობას და იმ დაღლცვილ კომიტეტს კი ეს საქმე ვინგინდარებისათვის ჩაუგდია ხელში. ყველგან სახალხო წარმოდგენების მეთაურებად ითვლებიან ცოდნით და გამოცდილებით შექურვილნი პირნი. აგრეა რუსეთში და ტფილისშიც რუსულ სახალხო წარმოდგენებზე, ხოლო ჩვენი ქართული წარმოდგენა კი დღეს ერთს უვდია ხელში, ხვალ მეორეს და ამ რიგად ეს წმინდა საქმე, ნურავინ კი ნუ იწყენს, და მწველელ ფურად გაუხდიათ! ამისთანა წარმოდგენებს მხოლოდ სახელი ჰქვიანთ სახალხო თორემ სახრავი კი კერძო პირებისაა. აი სწორედ ეგ უნდა ვუსაყვედუროთ ჩვენს ქართულს კომიტეტს. რაკი იმას „სეზონის“ წარმოება შეუძლიან და 2000 მ. „დეფიციტების“ მოხერხება, რატომ ვერ აზერხებს სასარგებლო საქმეს, რომელიც „დეფიციტს“ კი არა შემოსავალსაც აძლევს ვინც კი დაეპატრონება ხოლმე.

მეკობარი

# საშეურნეო ცოდნა

მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)
(შემდეგი *)

ქრისტეს გვირგვინა. (ქართული) შეითან-ალაჯ (თათრული) ხრისტოვო დერევო, გლედიჩია (რუსული) გლედიჩია ტრიაკანტა (ლათინური) მცენარე გვაროზს ყველგან მეტადრე ლენკორანის მაზრაში, სხვა მცენარეებივით არ არის ნაზი, მას არ ეშინიან არც სიცივისა და არც საცხისა, უყვარს ხმელი და მშრალი ადგილები, ამისთვის მას როგორც ლობიოს ხე, ამრავლებენ ურწყავს ადგილებში. ხე მეტის მეტად გამძლეა და მაგარია, ამისათვის მის მასალას მეურნეობაში აქვს დიდი მოთხოვნილება, მეტადრე მის ჰიგოს, რომელიც შეადგენს პირველ მასალას ვენახებისათვის, ყვავის მწვანე მოყვითალოდ, ყვავილით სარგებლობს ფუტკარი. ისხამს ნახევარ არშინის ოდენა და თითქმის ერთ გორის სიგანისა ლობიოს მზგავს დიდრონ მსხვილ პარკებს, რომლებშიდაც იმყოფება ათამდისინ პრტყელი და შემოუსვლელ ხურმის ფერისა მაგარი კანის თესლები, *) ხე მთლიად შემკულია მსხვილ და დიდრონ ეკლებში, რის გამო ეს მცენარე ითვლება პირველ მცენარეთ ცოცხალ ღობეების მოსაშენებლად. ცოცხლობს დიდხანს, მრავლდება თესლით გაზაფხულობით და შემოდგომით.

ცაცხვი. (ქართ. იმერ. მეგრ. გურული) ლორი სომხური, დჯოქა (თათრული) სუსქედ (ოსური) ხად, ვოდ (ლეკური ძალიან ბევრი სხვა და სხვა ჯურისა, რომლებიც ერჩევიან ერთი ერთმანეთს ფოთლებას, ყლორტების, აყვავილებითა და დრო ყვავილისა, გვაროზს ყველგან და ყველა ნიადაგზედ ტყეში და მინდვრად, როგორც ზაქათლის ოლქში, ისე კახეთში, ამ მცენარეებით შესდგება დიდრონი ტყები, როგორც გამძლე ხე, მის მასალას მეურნეობაში აქვს დიდი მოთხოვნილება, მაგალითად მის ქერქით რუსეთში ამზადებენ ქალამნებს, ზაქათლის ოლქში და კახეთში კი კალათებს და ხოკრებს თითონ ხიდამ ამზადებენ: ვარცლებს, ხონჩებს, ფინებს, სკებს, და წისქვილის ღარებს. შეშათაც კარგია, მაგრამ მის ნახშირს არა აქვს ძალა, ამისათვის მას უფრო ხმარობენ თოფის წამალში. ყვავის თეთრათ პატარ-პატარა მტევნებით, მის ყვავილი შეადგენს უპირველეს ფუტკრის საზრდოს, გარდა ამისა მის ყვავილს აფთიაქებში აქვს დიდი მოთხოვნილება, ხმარობენ ჩაის მაგიერ გაციების წინააღმდეგ, მის თესლით ამზადებენ ტკბილ ზეთს, ნუშის ზეთის მზგავსს, რომელსაც ხმარობენ საჭმელში და ლამპრებში დასაწვავათ. როგორც თვალ საჩინო და კარგი ჩრდილოვანი ხე, მას დიდი სიამოვნებით რგავენ ეზოებში და ყვავილ-ნარებში.

ხე ცოცხლობს ათას წლამდისინ, მრავლდება პატარ-პატარა ტოტებით და თესლით, გაზაფხულობით და შემოდგომით, ხოლო დათესით ხშირად უნდა დაითესოს, რადგანაც მათში ბევრი გამოდის ცარიელი და უვარგისი.

არჩილ დარეჯანაშვილი
(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ცნ. ფურ.“ № 812.

*) დათესამდისინ თესლები უნდა დაიმდუღროს მდუღარე წყალში, მერე უნდა დაითესოს, ამისთანა თესლი ამოდის ორი-სამი თვით ადრე.

# ყურმოკრული საუბარი

ერთის ოჯახისას სადილად სხვა სტუმრებთა შორის მღვდელიც იყო მიწვეული.

რასაკვირველია, აქ ღვინო ბლომად დალიეს და სტუმრებზედ თავისი გავლენა იქო-

ნია, სხვათა შორის მღვდელზედაც. ჩქარა ჩარექიანმა ყანწმაც ჩამოიარა სასვე ჯიხვით მღვდელთანაც გადავიდნენ. მღვდელმა ჯიხვი ჩამოართვა და პირჯვრის წერით წამოიძახა: ღმერთო, შენ მომხედე!.

— მამაო, ისა სჯობია ეხლა ღმერთმა არ მოგხედოს, თორემ თუ მოგხედა ჯიხვსაც დაინახავსო.—მოსწრებით უპასუხა მღვდლის გვერდით მჯდომმა დაურჩია, ღვინო არ დაელია.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

4 მაისი.

**პეტერბურგი**. 4 მაისს დაწყო შინაურ ფრინველების მომშენებელთა საერთაშორისო კრება.

**პარიჟი**. „Figaro“ არჩევს საიდუმლო „dossier“-ს და ამბობს, კიუნიე ისევე, როგორც პიკარი, ამტკიცებდა, რომ ის საბუთის ქაღალდი, სადაც ნათქვამია »ეს საზიზღარი დ—დრეიფუსს არ შეეხება».

**პარიზი**. მინისტრთა საბჭოში შემუშავებულ იქმნა პროგრამა იმ დღესასწაულებისა, რომელიც გამართული იქნება პარიზში მარშანის მისსიის პატივ-საცემად. მისსიას ტულონში დაჰხვდებიან. მეორე დღეს პარიზში, მისსიას მიესალმებიან წარმომადგენელნი სამხედრო, საზღვაო და ახალ-შენთა მინისტრებისა და სამხედრო კლუბის წევრები. მისსია სამინისტროს ეტლებით საზღვაო სამინისტროში შივა, სადაც ლოკრუა იმის პატივ-საცემად საუზმეს გამართავს.

5 მაისი

**ხაბაროვსკი**. ჩინეთის ქვრივმა დედოფალმა გამოაქვეყნა ბრძანება იმის შესახებ, თუ როგორ მფარველობის ქვეშ უნდა იყვნენ კათოლიკეთა მისიონერები. დედოფალს სურს ნახოს, მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ერთმანეთთან მისი ქვეშევრდომნი და ქრისტიანები, რისთვისაც ჩინეთის სახელმწიფო მოხელეებს ებრძანათ დარბაზობა გადაუხადონ ხოლმე მისიონერებს, შეუძლიათ მოითხოვონ პირადათ ნახვა: ეპისკოპოსმა—ვიცე-კოროლებისა და გუბერნატორებისა, ვიკარიმ და დეკანოზმა – ხაზინადრებისა, პრავინციების მოსამართლეთა, ინტენდანტებისა, დანარჩენმა მღვდლებმა,—ოლქების უფროსთა პირველ და მეორე კლასისა. ეპისკოპოზებს ნება ეძლევათ კერძო წერილები მისწერონ და სადარბაზო ბარათები გაუგზავნონ ვიცე-კოროლებს და გუბერნატორებს შემდეგს შემთხვევებში: გაწესების და გაწესებულთა თავიანთ ადგილას მისვლის დროს, და ახალ წლის მოსალოცავად. განსაკუთრებულს შემთხვევებში კათოლიკეთა მისიონერებმა შუამდგომლობა უნდა სთხოვონ მინისტრის ანუ კონსულს იმ სახელმწიფოსას, რომელსაც პაპიმ მიანდო მფარველობა სარწმუნოებისა. ეს მინისტრი ანუ კონსული, საქიროების კვალობაზე, მოლაპარაკებას გამართავს ცუნგ-ლი-იამენთან ანუ ადგილობრივ მოხელეებთან. ადგილობრივი მთავრობა ვალდებულია დაუყოვნებლივ და მშვიდობიანად განიხილოს კათოლიკეთა სამღვდელოების განცხადება და ღონისძიება იხმაროს, რათა ადგილობრივნი მკვიდრნი მშვიდობიანად და თანხმობით ცხოვრობდნენ მისსიონერებთან. მისიონერები, როგორც ბრძანებაშია ნათქვამი, კეთილად იქცეოდნენ და კათოლიკეთა სარწმუნოების პატივი და სახელი უნდა დაიცვან, რათა ხალხი კმაყოფილი და მადლიერი იყვეს.

**სოფია**. „ბოლგარსკოე აგენტსტვო“ გარდაწყვეტილად უარსა ჰყოფს პეტერბურგის გაზეთის „როსიას“ მიერ მიღებულ ცნობებს, ვითომც მაკედონიის ლიგის წინამძღოლს, როცა ის ინახულა მთავარმა, მისი მოკვლა განეზრახოს. მცირე ავადმყოფობის გამო, მთავარს არავინ არ უნახულებია ამ სამი დღის განმავლობაში მინისტრ-პრეზიდენტის გარდა.

**დამასკი**. ადმირალი სკრიდლოვი თავის შტაბით დაესწრო მართლ-მადიდებელ საკათედრო ტაძარში წირვას და სადღესასწაულო პარაკლისს, რომელიც გარდაიხადეს პატრიარქმა მელტიმ და სინოდმა მართლ-მადიდებელ საზოგადოების თავმჯდომარის, დიდის მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის სახელწოდების დღესასწაულისა გამო. ამ საზოგადოების მოწაფე არაბთა გუნდი რუსულად გალობდა. აუწერელი სიხარული სუფევდა. პატრიარქმა უბოძა ადმირალს ქრისტეს დაბადების უძველესი ხატი. პატრიარქმა და მიტროპოლიტმა გულმხურვალედ უსურვეს ბედნიერება და მრავალჟამიერ სიცოცხლე უდიდეს მფარველს იმპერატორ ნიკოლოზ II.


# განცხადებანი

## „შუამავალი“

ამხანაგობის მაღაზია გადავიდა უკვე თამაშევის ქარვასლაში პუშკინის სკვერის წინ. (3—3)

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ торгов**[…] мышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учеб**[…] **заведеніи**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе […] часовъ, по вечерамъ. Начало занятій— 1-е число каждаго мѣс[…]

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго началь**[…]

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ар[…]тика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на сч[…] 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) […]говыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (5[…] дачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ** […] **автора: Михайловская ул., № 71.** (100—1[…]

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ
## НА ЛИТЕРАТУРНЫЙ И НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛЪ
## для самообразованія

VIII-й г. изд. **МІРЪ БОЖІЙ** VIII-й г. изд.

*Выходитъ 1-го числа каждаго мѣсяца въ размѣрѣ не менѣе 25 печ. листовъ.*

[…] 1899 году журналъ будетъ издаваться по той же программѣ и [въ] томъ же составѣ редакціи и сотрудниковъ, причемъ для напечатанія [пред]полагается, между прочимъ, слѣдующее:

БЕЛЕТРИСТИКА ОРИГИНАЛЬНАЯ: «Освободилась», романъ А. […]ицкой; «Риштау», повѣсть В. Сѣрошевскаго; «Отъ Волги до Портъ-Ар[тура]» (путевые очерки), Н. Гарина; «Душная ночь» (Изъ степныхъ очерковъ), Ю. Безродной; «Каинъ и Артемъ» (Изъ жизни босяковъ), разск. М. Го[рько]го; «Въ ночной смѣнѣ», разсказъ изъ военнаго быта А. Куприна;; раз[сказы] г.г. Бунина, Патапенко, Станюковича, Чирикова

**Научныя статьи и сочиненія**. «Антропологическіе очерки» […] Бранлта: «Современное положеніе вопроса о гипнотизмѣ», .В Битнера; […]льзъ Парнель», Ев. Тарле; «Очерки по исторіи русской культуры», […] П. Милюкова. «Александръ 1 и его время»,А. Прѣснякова: «А. С. […]кинъ (юбилейная статья) Ив. Иванова; «В. Г. Короленко», Ив. Ива[нова]; «Ада Негри», В. Фритче: «Очерки по соціальной экономіи», прив.-до[ц.] Туганъ-Барановскаго; Послѣдствія переворота въ земледѣліи», Л. Кржив[…]го; «Положеніе труда въ Аангліи», Л. Давыдовой; «Рихардъ Авенаріу[съ] эмпиріокритицизмъ», проф. Г. Челпанова; «Экспериментальная психологія [ея] настоящее и будущее, д-ра философіи В Анри.

ПЕРЕВОДНЫЯ СОЧИНЕНІЯ, «Очерки по исторіи соціальной фи[лосо]фіи», Людвика Штейна, пер. съ нѣмецкаго; «Религія красоты» (Джонъ [Рёс]кинъ и его идеи), Сизерана; «XIX вѣкъ въ различныхъ областяхъ науки, [тех]ники и общественной жизни», компилятивныя статьи; «Изъ исторіи та[йныхъ] обществъ у различныхъ народовъ».

Постоянные отдѣлы. Критическія замѣтки. Изъ запа[дной] литературы. На родинѣ. За границей. Научный обзоръ. Т[еку]щія научныя новости. Библіографія. Новости иностранной [ли]тературы.

### УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на годъ 8 руб[…]
Безъ доставки на годъ . . . . . . 7 […]
За границу на годъ . . , . . . 10 […]
Вмѣсто разсрочки допускается подписка:

**По полугодіямъ;**

Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на полгода 4 р
За границу . . . 5 р.
Безъ доставки по соглашенію конторой

**по третямъ года:**

Съ доставкой и пересылкой […] города Россіи;
въ январѣ . , . […]
» маѣ . . . […]
» сентябрѣ . . […]
За границу: въ январѣ […]
» » » маѣ . […]
» » » сентябрѣ . […]

Адресъ: С.-Петербургъ, Лиговка, 26.

Подписавшіеся на полгода или на треть года продолжаютъ подпис[ку] […] повышенія подписной цѣны

Уступки съ подписной цѣны никому не дѣлается.

Издательница *А. Давыдова*. Редакторъ *В. П. Острогорс[кій]*